საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ამაღლობელი რატი ბორისის ძე



რ. ამაღლობელი

ამაღლობელი რატი ბორისის ძე ბორისის ძე (დ. 30. III. 1977, თბილისი), პოეტი, ფილოსოფოსი. დაამთავრა თსუ-ის ფილოსოფიის ფაკ-ტი. ლექსებს აქვეყნებს 1994-იდან. 2010–11 იყო ჟურნალ „ცხელი შოკოლადის“ რედაქტორი, 2005–10 – საზ. რადიოს ლიტ. გადაცემა „ხმების ისტორიის“ წამყვანი; ატარებს ყოველკვირეულ ღია ლექციებს „წიგნის სახლში“. არის ავტორი ლექსების კრებულებისა: „ზმნა“ (2000), „თუ“ (2003), „წრე“ (2006), „ლექსები“ (2011), „ანგელარიუმი“ (2018), „წელიწადის დროები“ (2023). **ა**-ის პოეზია გამოირჩევა თემატური სიახლით, პოეტური ფორმის ნოვატორობით, მუსიკალობითა და ფრაზის სიმსუბუქით.

2006 მიენიჭა ლიტ. პრემია „საბა“ წლის საუკეთესო პოეტური კრებულისათვის „წრე“.